



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბინდ ბუქ-  
უბი სიფყვას, ცუდილებით და ჭბრებით ბუბ-  
თის გაფანა ყულა უჯანბნობაჲ უსამაგლესია.

გამოდის 1918 წლის  
25 ივლისიდან

# რესპუბლიკა

ხუთშაბათი, 11 ივლისი. 2019 წ. №139 (8805)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 60 თეთრი

## როინ მატრეველი:

# საქართველოს ისტორიის გაყალბება დანაშაულია!



**დღეს, როცა საქართველო საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული სახელმწიფოა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, მსოფლიოს საგარეო ორგანიზაციის, ევროსაბჭოს წევრია და ილენის ევროკავშირში შესვლისათვის, მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე დგას, ესაა: ქვეყნის ეკონომიკის დაზიანება, კულტურული წინსვლა, ადამიანის უფლებათა გაზარდა და სხვ. საქართველოს სწრაფად დასავლეთისკენ (ევროპა, აშშ) თვალნათელია. საქმე გვაქვს საქართველოს ამ გზაზე სვლის შეფერხებასთან.**

ასეთ დროს აუცილებლად საჭიროა წარსულზე ფიქრი. ისტორია ზუსტი მეცნიერებაა და ვერაფერს აბატიებს სიყალბეს. სამწუხაროდ, ბოლო დროს ხშირად ვხვდებით ისტორიის გამყალბებლებს, რასაც ადამიანთა მოდგმის გზიდან აცდენა შეუძლია. ქართველ ერს საამაყო ისტორია აქვს და მისი გაყალბება არავის, რა რანგისაც არ უნდა იყოს იგი, არ ევატიება.

გვინდა შევეხოთ 9 ივლისს ქ. ეკატერინბურგში რუსეთის პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ წიაღსვლებს საქართველოს ისტორიაში. სამწუხაროდ, მან არასწორად წარმოადგინა საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხები, ურთიერთობები აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან. ეს არ არის პირველი შემთხვევა. ანალოგიურ ფაქტებს ადრეც ჰქონდა ადგილი, რაზეც ჩვენ სათანადო რეაგირება გავაკეთეთ (იხ. რ. მეტრეველი, აღუვსებელი საწყაული ანუ ამოცანა ამოცხება, თბ., 2015).

აუცილებლად მიგვაჩნია, ამჯერადაც მივანოდოთ საზოგადოებას რეალური ვი-

## ჭეშმარიტება ეს არის!

თარება, მართებული ფაქტები საქართველოს ისტორიის იმ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელსაც ბატონი ვ. პუტინი შეეხო.

**ბანსაპუტირებული** საკითხია ე. წ. სამხრეთ ოსეთისა (სამაჩაბლო) და აფხაზეთის საკითხი რუსულ პოლიტიკაში. ამ ორი სეპარატისტული ერთეულის დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთის მიერ, პრაქტიკულად, მსოფლიოს ყველა ორგანიზაციაში (ევროკავშირი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნატო და სხვ.) და თითქმის ყველა სახელმწიფომ დაგმო. განსაკუთრებულად გაუმართლებელია საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია რუსეთის მიერ. უხეშად დაირღვა საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური პრინციპები – მოხდა ადამიანის უფლებების ხელყოფა, დაიღუპა დიდი რაოდენობით მშვიდობიანი მოსახლეობა, დაანგრეს სახლები, სკოლები, სამედიცინო დაწესებულებები. რუსეთის ხელისუფლება ცდილობს, გაამართლოს თავისი საქციელი. საკუთარმა მოსახლეობამ ნაწილობრივ შესაძლოა, კიდევ იწამა რუსეთის საქართველოში შეჭრის სამართლიანობა. ეს დიდი „დამსახურებაა“ რუსული მასმედიისა, რომელიც ცალმხრივად აშუქებს მოვლენებს. ყალბდება ისტორია, რაშიც დიდი „ამაგი“ მიუძღვით, როგორც ბოგირთ აფხაზ და ოს, ისე რუს ავტორებს.

**რეალურად სამეცნიერებად.** დავეინათ იქიდან, რომ ტერიტორიები, რომელიც ოსებსა და აფხაზებს უჭირავთ, ისტორიულად ქართულია. საქართველოს საზღვრების საკითხი საფუძვლიანად გამოიკვლია ივანე ჯავახიშვილმა (იხ. მისი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, თბ., 1919). ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, აშკარად მტკიცდება, რომ შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოს აღმოსავლეთის

საზღვარი თეთრ წყლებზე ან ჩაღან უსუნზე გადიოდა (ჟამთააღმწერელი). უფრო ზუსტად ეს საზღვარი თეთრ წყლებსა და შამახის მთის ძირას (თეთრი წყალი შამახიას მთის დასავლეთ ფერდობს ჩამოუდის) მდებარეობდა. საკუთრივ საქართველოს ეთნიკური საზღვარი კი, როგორც ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, უფრო დასავლეთით – გიშის წყალზე გადიოდა. დასავლეთი საზღვარი „ყოველი იმერი სამეფო“ იყო, ე. ი. მთელი დასავლეთი საქართველო სრულიად საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა. ასე რომ, სახელმწიფო საზღვარი დასავლეთით შავ ზღვამდე აღწევდა. სამხრეთით საზღვარი ქურდგაჭრის იქეთა (აღმოსავლეთი) მხარეა (ბასილი ეზოსმოძღვარი), რომელიც იგულისხმება კანისა (მდ. აღსტევის ხეობაში) და კაინის (მდ. ქურდგაჭრის დეხედის მარჯვენა მხარეს) ციხეები. უფრო ზუსტად, ესაა გარდაბანი, ე. ი. ტერიტორია, რომელიც ქურდგაჭრის (მდ. დეხედა) ხევისა და მდ. აღსტევის შორის მდებარეობდა (ჟამთააღმწერელი). საქართველოს სახელმწიფოს აღმოსავლეთ მდებარე საზღვრისპირა მხარედ წყაროები შამქორს ასახელებენ (ჟამთააღმწერელი). ესაა გელაქუნის ტბასა და მდინარე მტკვარს შორის მოქცეული ტერიტორია. ქვეყანას სამხრეთითვე ესაზღვრებოდა აირარატის პროვინცია, მდ. რახსი და ნახჭევანი („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“). თამარისდროინდელი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი სპერია („ჯავახეთით სპერამდის“).

საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიონის ქედის გასწვრივ ჩრდილო-დასავლეთით ნიკოფსიამდე მიდიოდა, ჩრდილო-აღმოსავლეთით შამახის მთამდე ვრცელდებოდა („ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“). კავკასიონის მიღმა მდებარეობდა საქართველოს

ყმადნაფიცი (ვასალური) ქვეყნები: ქაშაგეთი, ოვსეთი, დურძუქეთი, დიდოეთი, ღუნქეთი, ლეკეთი (ბასილი ეზოსმოძღვარი).

დავით IV აღმაშენებლის ტიტულატურაა „მეფე აფხაზეთსა, ქართველთა, რანთა, პახთა, სომეხთა, შარვანთა და შაჰანთა“. ამ დიდი მეფის მფლობელობაში შამახალი ქვეყნებიც დასახლებულნი იყვნენ. დავით აღმაშენებელი თავის ანდერძშიც საზღვარსა მდინარეებს, მისი „მოგაბული“ გაშული გადაჭიმულია „ნიკოფსიიდან დარუბანდის ზღუდამდე და ოვსეთიდან სომარად და არაბანამდე“. დავით აღმაშენებლის ტიტულატურის ანალოგიურია მეფე თამარის ტიტულატურაც. აქაც რეალურად ასახული საქართველოს პოლიტიკური სიძლიერეა და გეოგრაფიული სიდიდე.

იქნებ არც იყო საჭირო დეტალურად საქართველოს ისტორიული საზღვრების შესახებ ვრცელი საუბარი, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველოს ისტორიის გაყალბების ყოველგვარი მცდელობა მტრულად განწყობილი პირებისა, უსუსურია და სინამდვილეს არ შეეფერება. ეს კარგად უნდა იცოდნენ თვით აფხაზმა და ოსმა მეცნიერებმაც.

აფხაზური ლიტერატურისა და ისტორიოგრაფიის ფუძემდებელი დიმიტრი გულია საგანგებოდ აღნიშნავდა: „Абхазия, которая всегда была неотъемлемой частью Грузии, жила с нею на протяжении всей истории одной жизнью, органически участвовала в созидании грузинской культуры и государственности и играла существенную роль в борьбе за свободу и независимость страны, в борьбе за объединение отдельных грузинских племен и областей в единое мощное национальное грузинское государство“ (Д. Гулия, О моей книге „История Абхазии“).

№ 2-3 83

## გაგუა ბახტაძე: დადგება დღე, როდესაც აფხაზ და ოს ქვეყნები ერთად ავაშენებთ ერთიან, ძლიერ ქვეყანას

**ჩვენ მოვისმინეთ ფაქტების ფუნდამენტურად არასწორი ინტერპრეტაცია, ვამაყობთ ჩვენი ისტორიით, ევროპა ამაყობს ამით და დადგება დღე, როდესაც აფხაზ და ოს ქვეყნები ერთად ავაშენებთ ერთიან, ძლიერ ქვეყანას,**

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის განცხადებებთან დაკავშირებით ჟურნალისტის კითხვის საპასუხოდ განაცხადა. მისივე შეფასებით, საქარ-

თველოს ისტორია არის ევროპული ისტორიის ნაწილი და ევროპელები, ისევე, როგორც მსოფლიო თანამეგობრობა ამ ისტორიას დეტალურად იცნობენ. „მინდა, ყველას კიდევ ერთხელ მოვუწოდო – მეგობრე-

ბო ახლა არის კონსოლიდაციის დრო და ნამდვილად არ არის პოლარიზაციის დრო. პოლარიზაცია არის ის, რაც საქართველოს ხდის ადვილ სამიზნეს და ეს ყველას კარგად უნდა გვახსოვდეს“, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.



**გურამ ნიკოლაური** 5 **სამგულდ ატენილი გოჭები**

**იაკობ ლეჟავა** 6 **ასრების შესახებ და ზოგი რამ განმარტოვების კულტურაზე**

**ზაურ ნაჭყვია** 4 **ანტირუსული ისტორიის ტინინალკოპი ქართველების ბრალია!**



**სოხუმი, 1993 წელი**  
 (აირმელო ბეგრეიძე) გარკვეული ხნის წინ მედიამ გვაუწყა, რომ ყარაბაღში (სტეფანაკერტი) ჩასულმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ერთ-ერთმა ლიდერმა თანაგრძობა გამოუცხადა სომხეთის პარლამენტის სპიკერს გენოციდის 100 წლისთავ-

ზე, რომ ფაქტების გადამოწმება საჭირო. სამხრეთ ოსეთის ისტორიის ბეგრეი ფაქტის გაყალბებას ხდება (იხ. ან. თითაძე, ოსები საქართველოში: მითი და რეალობა, თბ., 2006 წ.).

# საქართველოს ისტორიის

თან დაკავშირებით; თანაც დაძინა, რომ გენოციდი ოსებზე ინგლის ქართველებისგან. ასე, ამგვარი სიცრუით ფერავენ ძირძველი ქართული კუთხის ოსურ მოსახლეობას. არაფერს დაგიდევნ და საზღვარგარეთაც ხმა-მაღლა აცხადებენ თავიანთი „განამებული“ ცხოვრების შესახებ.

**სიმატილე? სიმატილე სხვაა.**

სადავო არ არის, რომ ოსები ჩრდილო კავკასიაში (ახლანდელი ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე) გარკვეული საუკუნეების წინ დასახლდნენ სკვითურ-სარმატულ ტომებთან ერთად (ნიშნავს ილია, რომ ოსური ენა განეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანულ ენათა ჩრდილო აღმოსავლურ ჯგუფს). X-XII საუკუნეებში ოსეთის სამეფოს ურთიერთობა ჰქონდა სხვადასხვა ქვეყნებთან, მათ შორის საქართველოსთანაც (XI-XII სს-ში ოსეთი საქართველოს ყმადნადგოცი ქვეყანა იყო). თემურ-ლენგის შემოსევაში ოსების გაერთიანებას ბოლო მოუღო და ისინი გაიფანტნენ სხვადასხვა მხარეს (უნგრეთში, ბალკანეთის ქვეყნებში და სხვ.). ოსების ერთი ნაწილი შეეცადა ქართულში გადმოსვას და დამკვიდრებას, მაგრამ ქართველ ფეოდალთა წინააღმდეგობის გამო ეს ვერ მოხერხდა და იძულებული გახდნენ, უკან გაბრუნებულიყვნენ. XVII-XVIII სს-ში ოსები საქართველოს მთისწინა და ბარის ზოლში (ქართლის ჩრდილო განაპირა ტერიტორიაზე) ჩამოდიან და სახლდებიან. მცირე ნაწილი (კუდაროს ოსები) იმერეთის სამეფოში ჩასახლდა.

ქართული დამკვიდრებული ოსები არაგვისა და ქსნის ერისთავებისა და მაჩაბლების სამფლობელოში მოხვდნენ. ისინი ფეოდალებს ქართველი ყმა-გლეხების მსგავსად ემსახურებოდნენ. ნიშნავს ილია, რომ ოსები ქართველების მხარდამხარ იბრძოდნენ მომხდური მტრის წინააღმდეგ. შემონახულია ცნობები, რომ ოს ყმა-გლეხებს ყურადღებით ეკიდებოდა ერეკლე II. იგი საგანგებოდ სწერდა ზახა მაჩაბელს, რომ მის მსახურებაში მყოფი თორმეტი ოსისათვის დროულად მიენოებინა საკვები და კეთილად მოჰყიდებოდა მათ.

გაკვირება გამოიწვია რუსეთის მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინის CNN-ისადმი მიცემულ ინტერვიუში გამოთქმულმა კატეგორიულმა განცხადებამ, რომ რუსეთის შემადგენლობაში არსებობდა ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთი (ერთიანი ოსეთი), რომ ი. სტალინმა ოსეთი გააყო და სამხრეთ ოსეთი საქართველოს გადასცა, სადაც ავტონომიური ოლქი შეიქმნა; რომ ი. სტალინისავე ძალისხმევით აფხაზეთის ტერიტორია საქართველოს გადაეცა: აქ შეიქმნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა. ჩვენ ვერ მოვთხოვთ ბატონ ვ. პუტინს (მან ეს მოსაზრებები გაიმეორა ქ. ეკატერინბურგში მიცემულ ინტერვიუში, 9

თხანს (XVII საუკუნე) გიორგი სააკაძე იყო დავალების მოუწავსი). რუსეთის მიერ საქართველოს ანექსირების (1801 წ.) შემდეგ შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი დავალებითურთ ერთხანს იმერეთის გუბერნიაში შედიოდა, შემდეგ თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში. 1858 წ. კავკასიის მეფისნაცვლის ალექსანდრე ბარიატინსკის განკარგულებით დავალები „კავკასიის ლინიის“ ოსეთის ოკრუგს გადასცეს. ამგვარად, ჩრდილოეთ ოსეთს მიუერთეს მხოლოდ დავალები და არა შიდა ქართლის ის მიწა, სადაც შემდგომში ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ჩამოყალიბდა.

**საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის (1918 წ.) შემდეგ (ოქტომბრის რევოლუციამ რუსეთის იმერია და ანგრია) დავალები კვლავ საქართველოში შემოვიდა. 1920 წლის 7 მისის რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულებით განისაზღვრა საქართველო-რუსეთის საზღვარი იგი კავკასიის მთავარ ქედზე გადიოდა. ამდენად სრულიად ცხადია, რომ შიდა ქართლის უკიდურესი ჩრდილოეთი ნაწილი დავალებით საქართველოს შემადგენლობაში იყო.**

რუსეთის მიზნად ჰქონდა დასახული შიდა ქართლის შედრება და ყოველგვარად ცდილობდა ოსებსა და ქართველებს შორის კონფლიქტური სიტუაციის შექმნას. საბჭოთა რუსეთმა ოსეთში და შიდა ქართლში შეიარაღებული აჯანყებების ინსპირირება მოახერხა. მათი მიზანი იყო „სამხრეთ ოსეთში“ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, მისი საქართველოსგან ჩამოცილება და რუსეთისთვის მიერთება. შემდეგ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასაც ჩაიგდებდნენ ხელთ. 1920 წელს საბჭოთა რუსეთმა და ბოლშევიკებმა აჯანყებულ ოსებს ყოველმხრივ შეუწყვეს ხელი ე. წ. სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებას და ეს ტერიტორია საბჭოთა რუსეთის ნაწილად გამოაცხადეს. ეს აქტი ყველა ნორმის დარღვევით გატარდა: დაირღვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, იგნორირებულ იქნა ქართველი მოსახლეობის აზრი და ნება. რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) კავკასიის სამხარეო კომიტეტის 1920 წლის 23 მარტის დადგენილებაში ვკითხულობთ: „1. Организовать ревком в Южной Осетии...; 2. Объявить Советскую власть; 3. Немедленно сформировать вооруженный отряд; 4. Войти в связь с северной осетией... в распоряжении Ревкома отпустить 100 тысяч рублей (сто тысяч рублей)“. არის ასეთი მიმართვა: „Москва, ЦК РКП(Б), товарищу Ленину и Чичерину. Согласно приказу Кавказского Краевого комитета от 23 марта, под-

твержденному особыми Курьерами того же Комитета... 8 июня в Южной Осетии провозглашена Советская власть“.

არსებობს სხვა მასალები, საიდანაც თვალსაშენებლად ხდება, თუ ვინის პარანახით ბაბაჩაღას ოსებმა ამტკიცებდნენ ბრძოლა. ამდენად საბჭოთა რუსეთმა ე.წ. „ნაციონალ-შოპინისტური“ მთავრობის დადგენა შეუძლებელი ოსების წინააღმდეგობის გამო. მთავრობის მიზანდობლივია, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთს ბოლშევიკებმა ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური ოლქის სტატუსი მისცეს (1922 წ. აპრილი). რაც შეეხება ოსების ისტორიულ სამშობლოს ჩრდილოეთ ოსეთს, მას ორი წლის შემდეგ (1924 წლის ივლისი) მისცეს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი და იგი რუსეთის შემადგენლობაში დარჩა. ე. წ. სამხრეთ ოსეთში შევიდა მეტ-ნაკლებად ოსური მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული რაიონები და

ხელოვნურად მიმატებული ქართული ქალაქი ცხინვალი (1900 წლის „Кавказский календарь“-ის მიხედვით, XX საუკუნის დადგენილები, ქართველი ებრაელები და სომხები) და მის ირგვლივ მყოფი რამდენიმე ქართული სოფელი. ეს გარკვეული ძალადობით მოხდა და ქართველი მოსახლეობის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია (მასალები იხ. ინგ. ში: „ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან“, თბ., 1991, გვ. 56-73). ავტონომიური ოლქის შექმნამ იმ რეგიონის ქართული მოსახლეობა საკუთარ სამშობლოში ეროვნული უმცირესობად აქცია, რაც, თავის მხრივ, ადამიანისა და ერის უფლებათა და თავისუფლებათა უხეში დარღვევა იყო.

აუცილებელია, ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ოსებს საქართველოს შემადგენლობაში ეროვნული კულტურისა და ეკონომიკის განვითარების ყველა პირობა ჰქონდათ შექმნილი. საბჭოთა კავშირის დაშლის წინ 1990-91 წლებში საქართველოში 100 ზოგადსაგანმანათლებლო ოსური სკოლა იყო, აქედან 90 - ე.წ. სამხრეთ ოსეთში. აქ სწავლა ოსურ ენაზე მიმდინარეობდა. დამოუკიდებელ საგნებზე გადამსწავლავდა ოსური ენა და ოსური ლიტერატურა. ცხინვალში ფუნქციონირებდა პედაგოგიური ინსტიტუტი, მასწავლებელთა დასახლებების ინსტიტუტი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური, სამედიცინო, მუსიკალური, სამხატვრო სსსწავლებლები; პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები და სხვ. 1979 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით ე. წ. სამხრეთ ოსეთი უმაღლეს განათლებამიღებულთა რაოდენობით ყოველ ათას სულ მოსახლეზე საბჭოთა კავშირში მეორე ადგილზე იყო. როგორც ვხედავთ, ოსებს საქართველოს სახელმწიფო და ქართველი ხალხი ყველანაირ საშუალებას აძლევდა ეროვნულ კულტურული, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებისათვის.

რაც შეეხება რუსეთის შემადგენლობაში მყოფ ჩრდილო ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკას, იქ ვითარების დასახასიათებლად მოვიტანთ მცირე ამონარიდს ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ა. გალაზოვის პუბლიკაციიდან: „Мне всегда искренне жаль молодых людей моей национальности, когда, несмотря на знание иностранных языков и мировой цивилизации, они чувствуют себя неуютно дома в силу незнания элементарных основ осетинской культуры... Национальную молодежь, к примеру, лишили ее родного языка. До прошлого года в Северной Осетии фактически не было ни одной школы с осетинским языком обучения“. (გაზ. „Правда“, 1989, 11-XI). აქ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია.







# სამგლედ ატენილი გოჭებია

## რუსულად გინებაში ვარჯიშის შედეგად გაზუნის ახლა საბარიალო ვარჯიშისთვის აზვადებენ

ტყუილს რომ მოკლე ფეხები აქვს და სამუდამო „გამაღლებლობა“ ვერავითარი ოჩოფეხები რომ ვერ უშველის, ამის აშკარა მაგალითია ყაჩაღ და მავნებელ ნაციონალთაგან და, კერძოდ, ძალაუფლებისთვის გაგიჟებული სააკაშვილისგან თავის დროზე მითაცებული „ცრუსთავი-2“, რომელიც ახალი საქართველოს ისტორიაში მომავლდინებულ ავთვისებიან სიმსივნედ მოველინა ქართველი ხალხის ცხოვრებას. ოღონდ აქვე უნდა ვთქვათ ისიც, რომ ეს სიმსივნე, ჩვენდა საბედნიეროდ, „უკუღმართი“ გამოდგა იმ თვალსაზრისით, რომ სხვის სხეულში ჩასახლებული, სანამ იმ სხეულს გამოასალმებდეს წუთისოფელს, ბევრად უფრო ადრე თვითონ ემშვიდობება ამ ქვეყანას.

და აი სწორედ ამ იშვიათი სენის უკუღმართობის გამო ხდება, რომ მოსაკვდინებლად განწირული ნაციონალები, რომელთაც ევროპულ-ამერიკული პოლიტიკური ქიმიის იმედიც დაკარგეს, ასე საცოდავად ფართხალებენ და მავნებლობის ბოლო წვეთამდე ჩალიჩობენ – წლების მანძილზე დათესილ „ბოროტების ყვავილთაგან“ იქნებ როგორმე „დაიმშვენონ“, ახლა უკვე შეიძლება ამის თქმა, სამუდამო სასახლე...

ჩალიჩო, კი ვთქვით, მაგრამ, ალბათ, მთლად სწორი არ არის, რადგან ეს უწყინარ ჩალიჩზე ბევრად მეტია. ახლა ბოროტ სულთა მთავარი საზრუნავი ის არის, რომ ქვეყანას სიცოცხლის იმედი წაართვან, ჩაუხერგონ წინსვლისა და განვითარების ყველა გზა, ოღონდ თვითონ როგორმე გაიფხონონ.

ალბათ, არც ერთი რჯულის ეშმაკთ დღემდე არ მოუგონიათ და, მით უმეტეს, ვერ აღუსრულებიათ ქვეყნისა და ხალხის სამაგვებლოდ იმდენი ბინძური ხერხი, რამდენის მოგონებაც ამ ეგრეთ წოდებულმა ნაციონალებმა, პოლიტიკის მუქუს ქუჩის დაწვევებზე დაამატებდნენ შეძლეს!

მაგრამ ერთი კია. სადაც ბინძური ხერხი არ ჭრის, იქ უკვე „სამხედრო-რევოლუციური“ შეტევაზე გადადიან. მაგა-

ლითისთვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. ამ დღეებში ცნობილი გახდა (უკრაინის ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტოს საშუალებით), რომ სტრასბურგის სასამართლომ, როგორც იტყვიან, „რუსთავის“ საქმეს საშველი დააყენა. ხალხისგან ნაციონალთა „იდეოლოგიურ საკანალიზაციო არხად“ მონათლული „ცრუსთავი-2“ სტრასბურგის გადაწყვეტილებით კანონიერ მფლობელს უნდა დაუბრუნდეს.

დაუბრუნდესო?! რას ჰქვია, დაუბრუნდესო?! და ფიურერმა სააკაშვილმა მესამე მსოფლიო ომის გნიასს გა-

დააჭარბა. „ურუსთავოდ“ ჩვენ ურუსთაველო საქართველო ვიქნებითო! (შედარება როგორ მოგწონთ?! ამ არხის წართმევი „ოცნებას“ უნდა უენოდ დაგვზოცოს, დაგვამუნჯოსო. მაგრამ ვერ მივართვით. ჩვენ მუნჯებიც ამოვიდგამთ ენას, ჩვენი ენა ამჯერად ბარიკადები იქნებაო.

აბა, ჰე, საზუგა ევროპულ-ამერიკულად დაპეპილი პოლიტიკური კუნდი გვარამია, პირდაპირ გულის ფიცარზე იწერს ფიურერის დავალებას. „ცრუსთავი-2“-ის მისადგომები ციხე-სიმაგრედ უნდა იქცეს, რაც თბილისში რკინის კონსტრუქციებია, ყველაფერი „ცრუსთავი-2“-

### მინაწერი:

გუშინ უკრაინის საინფორმაციო სააგენტომ ამ ქვეყნის ახალი პრეზიდენტის მიერ სამადლოდ შეწყალებული პოლიტიკური ავანა სააკაშვილის ახალი „სტრატეგიული გეგმა“ გააფრცხლა, ოღონდ ამჯერად მომღერალ სოფო ნიჟარაძესთან საუბრით შეფუთული, სადაც აშკარად ჩანს, რომ დღეს ხალხისგან უკვე საქართველოს მტრად შენაცხილ ნაციონალთ სულაც არა აქვთ საქმე სამღერლად, რაც „სოციოლოგიურმა რენტგენოგრაფიამ“ ამ დღეებში ცხადი გახადა. აბა, თუ სამღერლად არა გვაქვს საქმე, მაშინ არც „ოცნება“ უნდა დავაყენოთ სიმღერის გუნებაზე, და ამ ახალ დემაგოგიაში ისევე გაიმეორა – სისხლი, სისხლი უნდა დაიღვაროს, მხოლოდ სისხლი აგვიცნემლიანებს „ოცნების“ ახლომხედველ თვალეშსო.

მართალი ხარ, მართალი, ჩემო პოლიტიკური სიცოცხლე, დასაღვრელი უნდა დაიღვაროსო, – იყო პირმთვანე სოფიოს პასუხი.

ასე რომ, მშვიდობისმოყვარე თბილისელებო, მტერი კანზე



კი არ მოგვდგომია, უკვე შემოსულია, აქ არის და „ცრუსთავი-2“-ის საკანალიზაციო არხშია დაბანაკებული.

და კიდევ ერთი რამ, რაც აუცილებლად უნდა ვიცოდეთ:

საკუთარი ქვეყნის მტრად ქცეულ ნაციონალთ სამღერლად რომ არა აქვთ საქმე, თვითონაც კარგად იციან და ამიტომ შეეკვნენ ერთხელ კიდევ ეშმაკს: ვითომ, როგორც ყველაზე დიდი მამულიშვილები, მართალია ამჯერად ვერმალურია, მაგრამ მაინც პირისპირ შევებით რუსებს და საქართველოს მტერს შევეწინეთ, რასაც „ოცნება“ ვერ გაბედავდა, რადგან თვითონ არის რუსული ხელისუფლებათ.

რა, ამას მოფიქრება არ უნდა?! უნდა, როგორ არ უნდა, მაგრამ კიდევ კარგი, ახლა ქართველები იმდენად გულებრყვილოები აღარა ვართ, რომ კიდევ ერთხელ გამოვავლოს ქოსატყუილა სააკაშვილმა უკვე დამპალ ჩალად ქცეული თავისი ავანტიურისტული „ფილოსოფია“.

გ. წ.

## სალომე ზურაბიშვილი: საქართველო მზად არის, გახდეს ევროპული განათლების სივრცის სრულფასოვანი წევრი

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ბათუმში კავკასიის უნივერსიტეტის ახალი კამპუსისა და სკოლის მშენებლობის დაწყებისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრო და პრეზენტაციაზე მიწვეულ სტუმრებსა და სტუდენტებს სიტყვით მიმართა.

როგორც სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, დღეს ბათუმისთვის მნიშვნელოვანი დღეა, რადგან კიდევ ერთი ახალი, საერთაშორისო დონის უნივერსიტეტის მშენებლობით მოხდება რეგიონში განათლების სისტემის გაძლიერება.

„დღეს საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტი სწორედ რეგიონების განვითარებაა და, ცხადია, უნივერსიტეტისა და სკოლის დაარსება ერთ-ერთი გზა რეგიონების განვითარებისა და გაძლიერებისათვის. ამავდროულად, განათლება ჩვენი მთავრობის დღევანდელი პრიორიტეტი და სვალ, ევროპულ საერთაშორისო კონფერენციაზე ჩვენი გზავნილი იქნება ის, რომ საქართველო მზადაა, გახდეს ევროპული განათლების სივრცის სრულფასოვანი წევრი და საქართველოსთვის ევროპაში შესვლა პირველ რიგში, სწორედ ევროპული განათლების

სივრცის სრულ წევრობას ნიშნავს. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველო „ერასმუსის“ პროგრამის ერთ-ერთი მთავარი და წარმატებული გამომყენებელია“, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, მნიშვნელოვანია ასევე, რომ უნივერსიტეტის პროექტი ქართველი არქიტექტორების შექმნილია და მის მშენებლობა ქართველები დასაქმდებიან, რაც რეგიონული განვითარების გზაა, რომ მოქალაქეები ადგილზე დასაქმდნენ და არ დასჭირდეთ არც თბილისში და არც უცხოეთში წასვლა.

„ნიშნდობლივია, რომ ამ უნივერსიტეტში ისწავლიან ქართველებიც და უცხოელებიც. ცნობილია, რომ საქართველოში განათლების მისაღებად ბევრი უცხოელი ჩამოდის და ეს არის დარგი, სადაც უცხოეთიდან გვაქვს შემოსავლები“, – აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა.


პრეზიდენტმა მზაობა გამოთქვა, ახლადგახსნილ უნივერსიტეტში პირველი ლექცია ჩაატაროს.

კამპუსი, რომლის გახსნაც აჭარის მთავრობის ხელშეწყობით დაიგეგმა, 1500 ადგილობრივ და საერთა-

შორისო სტუდენტსა და 500 მოსწავლევზეა გათვლილი. მშენებლობა სამ წელიწადში დასრულდება. კავკასიის უნივერსიტეტში შესაძლებელი იქნება სწავლა საბაკალავრო, სამაგისტრო და პროფესიული განათლების პროგრამებზე.

კამპუსი ალტურვილი იქნება თანამედროვე ინფრასტრუქტურით, ბიბლიოთეკით, ლაბორატორიებით, სპორტული მოედნებით, საცურაო აუზით და სტუდენტური საერთო საცხოვრებლით.





### 9. აუსკრელი ბავშვი და მისგან მომდინარე „საფრთხე“

ყველა სადად მოაზროვნე მშობელს ორი კითხვა უჩნდება: კი მაგრამ, ჩემი აუსკრელი ბავშვი რატომ უნდა წარმოადგენდეს საფრთხეს აცრილებისთვის? აკი, აცრილები დაცულნი იქნებიან იმ დაავადებებისგან, რაზედაც აცრებიანო? და, თუკი, მაინც ავად გახდება ჩემი აცრილი ბავშვი ან აუსკრელი ბავშვისგან გადაედება, მაშინ რა აზრი აქვს ვაქცინაციას? ამ კითხვებზე ვაქცინატორები პასუხს ვერ იძლევიან!

ყველაზე დამაფიქრებელი(!) კი მაინც ისაა, რაც ვაქცინირებულ ადამიანებზე დაკვირვებით, შედარებით გვიან გაირკვა, რომ თურმე, დაავადების გავრცელებაში აუსკრელებზე მეტად აცრილები არიან დანარჩენებისთვის საშიში (ამის დამადასტურებელ მაგალითებს ოდნავ ქვემოთ მოგახსენებთ)! ახლა, ამას დავუმატოთ დიდი ხნის წინანდელი, კარგად ცნობილი ფაქტები: უამრავი უმძიმესი გართულება სიკვდილის ჩათვლით, გართულებებს გადარჩენილებში კი – სუსტი და სანმოკლე იმუნიტეტი! რაღა რჩება ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის, რის გამოც აზრი ჰქონდეს რისკზე წასვლას, ვაქცინაციაზე დათანხმებას? აბსოლუტურად, არაფერი! სწორედ ამიტომ, ყველანაირი ინფორმაციის თავისუფლად მოძიების წყალობით იმდენად იმატა ანტივაქცინატორების რაოდენობამ მოსახლეობის განათლებულ ნაწილში, და იმდენად გაუჭირდათ სახელმწიფოებს მოსახლეობის დარწმუნება ვაქცინების უსაფრთხოებასა და აუცილებლობაში, რომ აცრებზე უარისმთქმელების დათანხმებას დაშინებით, ჯარიმების შემოღებით და იძულებით, კანონის ძალით ცდილობენ, ანდა, სულაც მშობლების უკითხავად ცრიან ბავშვებს სამშობიაროში იქნება ეს, თუ – სკოლებში! ისევე ლოგიკური კითხვა იბადება: თუკი ამდენი უარყოფითი მხარე აქვს ვაქცინაციას, სახელმწიფო რატომ ცდილობს ნაძალადევი აცრების დაკანონებას?! გზადაგზა ამაზედაც მოგახსენებთ.

### 10. „ქაცმა ჭირი მალა, მალა, მაგრამ ჭირმა თავი არ დაშალა“

მოკლედ, ორ უპრეცედენტო მოვლენასთან გვაქვს საქმი:

პირველი – მსოფლიოში არ არსებობს მეორე ბიზნესი, რომელიც ადამიანის დამინავლიდებელ ან სიკვდილის (!) რისკის შემცველ ისეთ პროდუქტს აწარმოებდეს, რომელიც საფრთხილოა მისაღებად თითოეული ადამიანისთვის, თანაც, არაერთხელ და, მიუხედავად ამისა, მწარმოებელი კომპანია არავითარ პასუხს არ აგებდეს შედეგებზე, კანონით(!) იყოს გათავისუფლებული პასუხისმგებლობისგან!

და მეორე – მსგავსი „ზრუნვა“, როგორცაც ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება იჩინა არა მხოლოდ საკუთარი, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხების მიმართ – ადამიანს მისი ნების გარეშე ძალით ასხამდნენ პირში და შეჰყავდნენ მის სისხლში საფრთხის შემცველი ვირუსების, ბაქტერიების, შხამქიმიკატების და ათასნაირი უჯრედების ნარევი – არც ერთ დიქტატორს არ გამოუჩენია კაცობრიობის ისტორიის მანძილზე!


ქურდს რა უნდა და – ბნელი ღამეო! რადგანაც პასუხისმგებლობა მოხსნილია, აღარც პროდუქტის ხარისხის კონტროლია აუცილებელი ამიტომაც, ვაქცინების მწარმოებელი კომპანიები რასაც უნდათ, იმას ამატებენ ვაქცინებში – კონსერვანტებად იქნება ეს, ადიუვანტებად თუ სხვა დანიშნულებისთვის. ვაქცინებში შემავალი ინგრედიენტების ზუსტი სია მხოლოდ მწარმოებელმა იცის!

უეიკვილიდის და სხვების კვლევებიდან 20 წლის შემდეგ, 2017 წელს ამერიკის მთავრობამ საჯარო გახადა მონაცემები, რომლითაც ირკვევა, რომ ვაქცინაციის შედეგად ამერიკაში რეგულარულად(!) ინვალიდდება და იღუპება უამრავი ბავშვი. 2017 წლისთვის დაინვალიდებული და დაღუპული ბავშვების მშობლების მიერ შეტანილი იყო 18 000-ზე მეტი პეტიცია კომპენსაცი-

ვითარ კავშირშია; მეორეც, – კომპენსაციის მოთხოვნით პეტიციის შესატანად აუცილებელია ადვოკატის დაქირავება და, შემდეგ ლოდინი 2-დან 10 წლამდე, სანამ „კენგურუს სასამართლოდ“ წოდებული ვაქცინების სასამართლო გადაწყვეტილებას გამოიტანს (გამოთქმა – „კენგურუს სასამართლო“ იმ სასამართლოს

## ასრების შესახებ და ზოგიერთი ბენემოდიფიციური კულტურების შესახებ

# მითი და რეალობა



„ჩვენ კვდომას ვიწყებთ იმ დღეს, როდესაც სიმართლეს ვიგებთ და ამის შესახებ ხმას არ ამოვიღებთ“!

მარტინ ლუთერ კინგი

მიმართ იხმარება, რომელიც, თითქოსდა, იცავს პროცედურას, მაგრამ გამოაქვს სწრაფი და წინასწარ გამოადებული განაჩენი. მშობელთა უმეტესობა იჯერებს ექიმის ნათქვამს და თვლის, რომ კომპენსაციისთვის ხელისუფლებასთან დავა – ეს დროის ფუჭი ხარჯვაა.

ფარმინდუსტრიის მიერ დაფინანსებული და ფინანსურად წახალისებული (ანუ მოქრთამული) სამედიცინო სფეროს მუშაკების და ორგანიზაციების (პირველ რიგში, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის) დიდი ძალისხმევით და პროპაგანდისტული კამპანიის (ვაქცინების ლამის „უკვდავების წყაროდ“ წარმოჩენის მიზნით) მიუხედავად, მოხდა ისე, როგორც ადრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო – ზუსტად ისე, როგორც ერთ ქართულ გამოთქმაშია: „ქაცმა ჭირი მალა, მალა, მაგრამ ჭირმა თავი არ დაშალა“!

21-ე საუკუნის დასაწყისიდან ინტერნეტის დამსახურებით უკვე არა მხოლოდ ელიტა, არამედ მასების დიდი ნაწილიც კარგად ერკვევა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებში – პოლიტიკური საკითხები იქნება ეს, ეკონომიკური თუ, გნებავთ, სამედიცინო. სწორედ ინფორმირებულობის შედეგია ის, რომ დანებებული 2001 წლიდან დღემდე, აშშ-ში, სადაც ვაქცინაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია (97-98%), აცრებზე უარისმთქმელთა რაოდენობა ოთხჯერ გაიზარდა!

აცრების წინააღმდეგ სხვადასხვა რელიგიური ჯგუფები გამოდიან (ორთოდოქსი ებრაელები, ხასიდები, ამიშები და სხვა), მაგრამ, რასაც ვაქცინაციის საწინააღმდეგო გლობალური მოძრაობა ჰქვია, მასში უაღრესად განათლებული და საკმარისზე მეტად შეძლებული ადამიანები სჭარბობენ, როგორც მაგალითად, ლოს-ანჯელისის ფეხბურთელი გარეუბნებში (სანტა-მონიკა, ბევერლი-ჰილზ, ბრენტვუდ) მცხოვრები მდიდრები, ცნობილი სილიკონის ველზე (კალიფორნია) განლაგებული ისეთი მაღალტექნოლოგიური კომპანიების თანამშრომლები, როგორებიცაა: „ამაზონი“,

მაცვეტული კომპანიები ასეულობით მილიარდს აკეთებენ ვაქცინების და ვაქცინაციით გამოწვეული გართულებების სამკურნალოდ შექმნილი მედიკამენტების რეალიზაციით; ამერიკელი პედიატრები (ასვე რუსეთშიც, შესაძლოა, საქართველოშიც), რომლებიც აცრების კუთხით მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ, სა-

დაზღვევო კომპანიებისგან პრემიებს იღებენ კვარტალურად. ის კი, ვინც ვაქცინაციის პროპაგანდას არ ეწევა, თავს საფრთხეში იგდებს, ვინაიდან, შესაძლოა, სამსახურიდან დაითხოვონ! იმ შემთხვევაში კი, თუ იგი მშობელს ბავშვის აცრას დააძალავებს, რასაც ბავშვის სიკვდილი ან რაიმე გართულება მოჰყვება, მას არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრება. პედიატრების უმრავლესობამ დღესაც არ იცის, თუ როგორ მზადდება ვაქცინები –

რა საკვებ ნივთიერებაზე, რა დანამატებს, რა ადიუვანტებს და კონსერვანტებს შეიცავენ და რა გართულებებს იწვევენ ისინი, მხოლოდ ის იციან, თუ როდის, რა დროს და რამდენჯერ უნდა აცრან ბავშვები. მათი ერთადერთი მოვალეობაა მშობლების დარწმუნება ვაქცინაციის აუცილებლობაში და, არაფრის დიდებით – მშობლების ინფორმირებულობა შესაძლო მძიმე გართულებების თაობაზე.

### 11. პაქსინეზი უმეპალი ინტეგრირებული

პაქსინეზის წარმოებისას გამოიყენება უამრავი ვირუსი და ბაქტერია, ნაირ-ნაირი უჯრედები: ცხოველების და ადამიანის აბორტირებული ნაყოფის, HeLa-ს ხაზის (68 წლის წინათ საშვილოსნოს კიბოთი გარდაცვლილი აფროამერიკელი ქალის ჰენრიეტა ლაქსის), გენმოდულირებული საფუარის; სხვადასხვა ცხოველის სისხლის შრატის და ისეთი ტოქსიკური ნვითიერებები, როგორებიცაა:

სინდივი (შედის თიომერსალში, რომელიც პესტი-

ციდებს მიეკუთვნება და კონსერვანტად გამოიყენება ვაქცინებში) – ნეიროტოქსინია, რომელიც იწვევს თავის ტვინის ნეირონების კვდომას და იმუნოტეტის დაქვეითებას. 2017 წლის თებერვალში **რობერტ კენედი უმცროსმა** და ცნობილმა მსახიობმა **რობერტ დე ნირომ** ვაშინგტონში გამართეს კონფერენცია, სადაც 100 000 დოლარს შეჰპირდნენ იმას, ვინც თიომერსალის უსაფრთხოების დამადასტურებელ ერთ სამეცნიერო კვლევას მაინც მოიძიებდა. თავად მათ კი თიომერსალის თავის ტვინზე დამაზიანებელი ზემოქმედების დამადასტურებელი 240 (!) კვლევა წარმოადგინეს, და კიდევ – 81 ნაშრომი, რომლებითაც მტკიცდებოდა, რომ იგი აუტიზმს იწვევს;

**ალუმინი** – ნეიროტოქსინია, რომელიც იწვევს ძვლების, ძვლის და თავის ტვინის დეგენერაციას. ის გაცილებით ნაკლები რაოდენობითაა ვაქცინებში, ვიდრე ჩვენ მას ვხვდებით ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგრამ როცა იგი ან სხვა ტოქსინები საკვებთან ერთად ხვდება ჩვენ ორგანიზმში, ნაწლავური ბარიერი გვიცავს მათი სისხლში გადასვლისგან და გამოიყოფიან იმავე გზით, როგორც გადამუშავებული საკვები. ვაქცინებში არსებული ალუმინი კი ნანონანილაკების ფორმითაა მყარად დაკავშირებული ვირუსებთან, ბაქტერიებთან, პოლისორბატ-80-თან (იხ. ქვემოთ) და სხვა ნივთიერებებთან, და იგი პირდაპირ სისხლში ხვდება. უდიდესი სხვაობაა საკვებთან ერთად მიღებულ ალუმინსა და ინფექციით შეყვანილს შორის! დადასტურებულია ისიც, რომ ალუმინი წლების განმავლობაში რჩება უჯრედებში.

**პოლისორბატ-80** (ქიმიური შენაერთი, ემულგატორი) – უნაყოფობის და კიბოს გამომწვევი ცხოველებზე ჩატარებული ექსპერიმენტებით; ფარმაკოლოგიაში იგი ჰემატო-ენცეფალური ბარიერის დასაძლევად გამოიყენება, რათა შესაძლებელი გახდეს ქიმიოთერაპიის ჩატარება, თავის ტვინამდე ზოგიერთი ნაწილის მიტანა ავთვისებიანი სიმსივნეების დროს. სწორედ ამ თვისების გამო მისი გამოყენება ვაქცინებში (10 ვაქცინაშია იგი გამოყენებული, მათ შორის, დიფტერია-ტეტანუსი-ყვიანახველას და ლორის გრიპის ვაქცინებში), რომლებშიც ბევრი აქტიური ინგრედიენტია (ვირუსები, ბაქტერიები, მძიმე მეტალები და სხვა ნივთიერებები), ერთობ საშიშია – მათ თავის ტვინის დაზიანება შეუძლიათ (ჰემატო-ენცეფალური ბარიერი კი განსაკუთრებით სუსტია ჩვილ ბავშვებში – იგი მაღალი გამავლობით ხასიათდება);

**ფორმალინი** (ტოქსიკური ორგანული შენაერთის – ფორმალდეჰიდის წყალხსნარი) – ძლიერი მუტაგენი (გენებზე ზემოქმედი), კანცეროგენი და ალერგენი, გამოიყენება ბალზამირებისთვის.

აი, ამ „უვნებელი“ ნივთიერებების შესახებ, თურმე, სრულებითაც არ არის საჭირო მშობლებმა იცოდნენ. არათუ რიგით ადამიანებს, ექიმებს არ ასწავლიან ვაქცინების მომზადების ტექნოლოგიას, მის შემადგენლობას და გვერდით მოვლენებს!

**განა, ზემოთ ჩამოთვლილ ვირუს-ბაქტერიების, სიმსივნური უჯრედების, მძიმე მეტალების და შხამების ნარევის ნორმალური მშობელი თავის ერთი თავის ბავშვს დააღვივებს ან, მით უფრო, ნემსით შეუშხაუნებს იმ იმედით, რომ მოზრდილობაში არ დაავადდეს იგი ჰეპატიტით, ტეტანუსით, წითელაით, დიფტერიით, ყბაყურით ან სხვა ავადმყოფობით, რომლებიდანაც, ადვილი შესაძლებელია, ერთიც კი არ შეეყაროს მას მთელი ცხოვრების მანძილზე?**



**იაკოვ ლეჟავა**  
ტ. 593-55-04-00

**ანონსი:**  
**მორიგ ნომერში – ვაქცინაციის მოწინააღმდეგენი**

**რატომ უნდა დაეფიქრათ, სანამ ვიფიქრებთ?..**

**502**  
რომელმაც მწერალმაც ჩაღრმავება არ იცის, მუდამ ზედაპირზე იტივტივებს.

**503**  
ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს სულ მუდამ დრამატულ ეპიზოდებს ვთამაშობდეთ რომელიღაც გრანდიოზულ ფანსში.

**504**  
უწინდელი მეწინავე რაზმის ზურგის ნაწილი, ჩვეულებრივ, ახალი ზურგის ნაწილის მეწინავე რაზმია.

**505**  
იმამა ალტაცებით ამბობდნენ: „გენიოსებს ეწევაო“, მე შეშფოთებულმა ვკითხე: „რა მიზნით-მეთქი?“

**506**  
ლაპარაკში ეტყობათ, რისი მიჩქმალვაც უნდათ.

**507**  
ყველაზე მეტად ნაყოფიერი უსქესო ხელოვნებაა.

**508**  
სილაჩრის გამო თავის აზრებს სხვის თავებში ინახავდა.

**509**  
ყველგან ლედვის ფოთლებს აწებებდა, მაგრამ კეთილსინდისიერად აღწერდა, რასაც ისინი ფარავდნენ.

**510**  
შეიძლება თუ არა შედეგების ძალით შექმნა? შეიძლება, ოღონდ ძალა უნდა გქონდეს.

**511**  
ყველა ადამიანი მსახიობია, სად ვუშობთ ყველას რეპერტუარი?

**512**  
უწინ მარადისობაც დიდხანს გრძელდებოდა.

**513**  
ნიჭის უქონლობას ხასიათის უქონლობით ანაბლაურებს.

**514**  
პოეზიაში ბავშვებგვით არიან: საწერ მაგიდას რომ უსხედან, ფეხებს მიწას ვერ აწვდენენ.

**515**  
ნანარმოვში თავის თავზე თვითონ ლაპარაკობს, მოსმენი ვინმე თუა.

**516**  
სადაც მკაცრი კანონები ბატონობენ, იქ ადამიანებს უკანონობა ენატრებათ.

**517**  
იმას ცარიელი თავი აქვს, პირთამდე ვერუდიციით სავსე.

**518**  
ყველა დიდ ტრავედიას ბოლო კეთილი აქვს, მაგრამ ბოლომდე ჯდობა არ გინდა!

**519**  
როცა ადამიანები გენიერები არიან, ხელოვნებაში დანაშაულის სუბლიმაცია ხდება.

**520**  
ყოველი შეხვედრისას იყიდებოდა: როგორც შლაპას, ისე წამოიწვედა ხოლმე დაფნის გვირგვინს.

**521**  
ხან უნდა იუხეზო, რათა დელიკატურობა დაგიფასონ.

**522**  
ზომი ღრმად მხოლოდ იმისთვის ყვინთავს, რომ ბუბტები ამოუშვას.

**523**  
როგორ ფიქრობთ, ამ ავტორმა ვითომ ცოტას მიაღწია? საერთო დონე დასწია.

**524**  
სულიერ საჭურისებსაც შეუძლიათ მაღალი ნოტის აღება.

**525**  
მაშან და მავან ტაკიმასხანებს ყალბად უუღერო ზანზალაკები.

**526**  
დაღვრილი სისხლი ჯერ კიდევ ფეთქავს ეპოქის ფეთქებით.

**527**  
მისი აზრი წმინდა წყლის ტკობაა, ის ვერავის ვერ ანაყოფიერებს.

**528**  
თაშს დაესხა – იღვას.

**529**  
არც ერთი თვალსაზრისით ბრმად ყოფნა არ შეიძლება.

**530**  
ფრთხილად მოექცე ცხოვრების დრამატიზაციას! ხომ შეიძლება, რომ თქვენი როლის უკეთესი შემსრულებელი მონახონ!

**531**  
მერანს იმისთვის აქვს ფრთები, რომ ნაკლები იტლინავოს.

**532**  
პირველმა ისროლე ქვა, თორემ ეპიგონის სახელი გაგივარდება.

**533**  
ღრმად უხვად დაგვასაჩუქრა გენიოსებით, იმედია, რომ მათ შორის, ზოგიერთი ნიჭიერიც ურევია.

**534**  
რას უნდა მიაწერო, ადამიანის ტყავზე ყველაფერი დაეტევა, სანამ ის ზედა აქვს ადამიანს.

**535**  
განწმენილი თუთიყუშები აღარაფერს იმეორებენ.

**536**  
მკვლელეთან შეუთანხმებლად აღდგომა მართლა ვაუკაცობაა!

**537**  
უფრთხილად: როცა შენ დიდებითა ხარ გაცისკროვნებული, შენს მტრებს უპირატესობა აქვთ – ჩრდილში გიდანაჯებენ.

**538**  
ხან იუმორისტს ნაღველი იპყრობს, ქებადიდება თურმე იუმორზე სასაცილოა.

**539**  
ხან ადამიანს ისეთი გრძნობა აქვს, ვითომ სცენაზე ატუბული, თუმცა სტატისტიც არ არის.

**540**  
ჩრდილში ჩვენზე ნიჭიერები არიან, ჩვენს ნაქნარს ძალდაუტანებლად იმეორებენ.

**დაუპარსხნელი აზრები**

**ყურადღებიანის ხედვით, აბიჯობ სუიხარ უნდა უბან რეთ ხედებს**

**ასე აბობდა სტანისლავ კუი ლევი**

**მართლად გადმოაწანა გურამ გოგიაშვილმა**

**541**  
გედინებდა ბოლოთი მეჭინა. გამიფრინდა და ხელში შემარჩინა ფრთა, რომელითაც ვწერ.

**542**  
დანაშაული მქადაგებლებსა და მონაღლისტების მუზაა.

**543**  
პონხმევემ თვით დოლოში იღვიძებს მუზა.

**544**  
საკუთარი თავის პატივისცემელ ყოველ სცენაზე ორმო უნდა იყოს, სადაც სირცხვილისგან ჩაცვივდებოდნენ.

**545**  
ზომიერთებს ფრთები კუბიდან ეზრდებათ.

**546**  
საკუთარი უძლურება ისეთივე საშიშია, როგორც ვისიმე ძალმომრეობა.

**547**  
ძლივს ლულულდება? სამაგიეროდ, ახლებურად!

**548**  
თამბათა სუსტი მეხიერება მხოლოდ ლეგენდებს ინახავს.

**549**  
ლამეს იქ ნუ გაითევ, სადაც თვით მწერებსაც კი არ ეძინებათ.

**550**  
მონემის ოცნება: ბაზარი, სადაც თავიანი ბატონების ყიდვა შეეძლებოდათ.

**551**  
ჩანაფიქრი თავში შიგნიდან ხვდება.

(ბაბრქაძე იმნება)



თბილისის მერიის მიერ დაგეგმილი მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა. დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე რამდენიმე განცხადება გააკეთა.

— თქვენ იცით, რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის სატრანსპორტო პოლიტიკა, რომელიც გვაქვს დაანონსებული. ამ დღეებში ოფიციალური ვიზიტით საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში ვიმყოფებოდი. ვნახეთ, თუ როგორ მუშაობს ადგილობრივი სატრანსპორტო კომპანია და როგორაა დაგეგმილი საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმართულებები. შემიძლია გითხრათ გულწრფელად, რომ ის რაც ჩვენ გვაქვს დაგეგმილი და გაუფრთხილებული, აბსოლუტურად სწორი ხედვაა. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. ზუსტად იგივე მიდგომები და დამოკიდებულება იქაც. ზოგადად, პარიზი საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების თვალსაზრისით ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში... რა თქმა უნდა, ჩვენ ახლის გამოგონებას არ ვაპირებთ. გვინდა, საუკეთესო მაგალითები გადმოვიტანოთ დედაქალაქში, — განაცხადა კახა კალაძემ.

რაც შეეხება ტაქსებს, კატეგორიულად დაყოფის პროცესი დაწყებულია და მისი განხორციელება შესაძლებელია როგორც ინტერნეტით, ისე იუსტიციის სახლში და ათივე გამგეობის ოფისში.

— ტაქსების მძღოლებს შეუძლიათ შეცვალონ კატეგორია სახლიდან გაუსვლელად, ინტერნეტით. ამასთან, პროცესი რომ უფრო მოსახერხებელი იყოს, ჩვენ გვქონდა კომუნიკაცია იუსტიციის სახლთან და ამისთვის მე მინდა, კიდევ ერთხელ, იუსტიციის მინისტრს მაღლობა გადავუხადო, დღეიდან ტაქსის მძღოლებს ექნებათ საშუალება იუსტიციის სახლშიც ისარგებლონ აღნიშნული სერვისით, — განაცხადა დედაქალაქის მერმა.

# თბილისის ახალი პროექტები, ახალი იდეები

ვაუჩერების გაცემა დასრულდება 10 აგვისტოს. ვაუჩერების განაღდებას საბოლოო თარიღი კი მიმდინარე წლის პირველი ოქტომბერია. ანუ, ის ვაუჩერები, რომელსაც ჩვენ გაცემთ — ფირის გადაკვრის, გადაღების, ქიმწმენდის — 1 ოქტომბრამდე უნდა იყოს განაღდებული.

როგორც დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე გახდა ცნობილი, თბილისის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში არსებული ხელოვნური ტყის ბუნებრივად გარდაქმნისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებისათვის გრანტის სახით 159 400 ლარი გამოიყოფა. პროექტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერით იგეგმება.

— ფიჭვებთან დაკავშირებით თქვენ იცით, თუ რამდენად მძიმე მდგომარეობა გვაქვს ქალაქში. ფიჭვების დიდი რაოდენობა სმება, რის გამოც გვინწევს მათი მოჭრა. შემდეგ კი ვახორციელებთ ჩანაცვლებას ახალი ნარგავებით. ეს პროცესი გაგრძელდება სამომავლოდ. აღსანიშნავია, რომ ფიჭვების სმობის ტენდენცია შეინიშნება არა მარტო დედაქალაქში, არამედ რეგიონებშიც. ყველაზე დიდი პრობლემა კი ის არის, რომ ეს დაავადება არის გადამდები. ჩვენ უცხოელ ექპერტებთან ერთად ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ეს პრობლემა მოგვარდეს.

თბილისის მერის მოადგილე მაია ბითაძემ პროექტის მნიშვნელობაზე

ისაუბრა და აღნიშნა, რომ საპილოტე პროექტის ფარგლებში, დედაქალაქში 20 ჰა ფართობი თვითგანახლების უნარის მქონე ხე-მცენარეებით განაშენიანდება.


თბილისის მერის განცხადებით, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური მუხრანის მაჭავარიანის ქუჩისა და მარშალ გელოვანის გამზირის დამაკავშირებელი ახალი გზის მშენებლობას იწყებს.

ჩვენ ვინცებთ მასშტაბურ პროექტს — მაჭავარიანის ქუჩისა და მარშალ გელოვანის გამზირის დამაკავშირებელი გზის მშენებლობას. იცით, რომ ლისის

ადამიანი, ვინც ამ კონკრეტული გზის მონაკვეთით სარგებლობს, რომ საათობით უწევდათ საცობში დგომა, განსაკუთრებით პიკის საათებში. ამ პატარა პროექტის განხორციელების შემდეგ, საცობები აღარ არის. რაც შეეხება მაჭავარიანი-გელოვანის ახალ გზას, ეს პროექტი მოგვცემს შესაძლებლობას, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე უფრო მეტად განიტვიტოს მოძრაობა, — განაცხადა კახა კალაძემ.

მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე დედაქალაქის მერმა ახალგაზრდებს სტუდენტთა მხარდაჭერის პროგრამებით მეტი დაინტერესებისკენ და ჩართულობისკენ მოუწოდა. მისი თქმით, თბილისის მერია აქტიურად ახორციელებს სტუდენტთა მხარდაჭერის პროგრამებს, რომელსაც 2 ძირითადი მიმართულება აქვს: ესენია სტუდენტთა სოციალური დახმარებისა და სასტიპენდიო პროგრამა.

„სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების მიმართულებით წელს უკვე 900-მდე განცხადება განვიხილეთ და აქედან დადებითად გადამწყდა 820 სტუდენტის დაფინანსების სა-



ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ძალიან ბევრი ადამიანი ცხოვრობს. ეს გზა საკმაოდ დატვირთულია და გვინდა, რომ ლისიდან ჩამოსასვლელი კიდევ ერთი ახალი პროექტი განვახორციელოთ, რომელიც „ვეფხისა და მოყმის“ ძეგლის მიმდებარე ტერიტორიას დაუკავშირდება. მისი ღირებულება, დაახლოებით, 15 მილიონი ლარია.

— ჩვენ, რამდენიმე კვირის წინ, კიდევ ერთი წარმატებული პროექტი დავანერგეთ — დილომში, ვაშლიჯვრიდან ჩამოსასვლელი ახალი პანდუსი, რომელმაც მოძრაობა საკმაოდ განტვირთა. ალბათ, დამეთანხმება ყველა ის

კითხი. სტუდენტთა დაფინანსების მოცულობა დამოკიდებულია აკადემიური მოსწრების მაჩვენებლებზე. 100%-ით ვაფინანსებთ მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებს და აღსანიშნავია, რომ ამ სემესტრში 30%-ით გაიზარდა მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების მონარტვიანობა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პროგრამა წარმატებულია და კარგად მუშაობს.

წელს ამ პროგრამის ბიუჯეტი 1 მილიონ ლარს შეადგენს და გვინდა, ეს თანხა სტუდენტების მხრიდან მაქსიმალურად იყოს ათვისებული“, — განაცხადა კახა კალაძემ.



## ყაზახეთში ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტი გაიზარდა

ბარამოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი ყაზახური კომპანიის „ფუდ კონტრაქტ კორპორეიშენ“ (Food Contract Corporation) წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე ყურადღება სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების საკითხებზე, მათ შორის, ქართული ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის ზრდის შესაძლებლობებზე გამახვილდა. საუბარი შეეხო მარცვლეული კულტურების შენახვა, გაშრობა, გადამუშავების კუთხით თანამშრომლობის საკითხებსაც.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გამართულ შეხვედრას მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი და მინისტრის მოადგილე ხატია წილოსანი ესწრებოდა.

ყაზახური კომპანიის „ფუდ კონტრაქტ კორპორეიშენის“ წარმომადგენლები კერძო სექტორის წარმომადგენლებსაც შეხვდნენ. მხარეებმა საქართველოში

ხორბლისა და ფქვილის იმპორტის განხორციელების საკითხებზე იმსჯელეს.

## ტაშკენტი-თბილისის მიმართულებით პირდაპირი ავიარები-სები შესრულდა

საქართველოს მიმართულებით რეგულარული რეისების შესრულებას უზბეკეთის რესპუბლიკის ავიაკომპანია „უზბეკისტან აერვეისი“ (Uzbekistan Airways) იწყებს. ტაშკენტი-თბილისი-ტაშკენტი საჰაერო ხაზზე ფრენები 2019 წლის 16 ივლისიდან ზაფხულის სანავიგაციო სეზონის ბოლომდე, კვირაში ორი სიხშირით, ყოველ სამშაბათსა და პარასკევს განხორციელდება. რეგულარული რეისები Airbus A320, Boeing B757, B767 და B787 ტიპის საჰაერო ხომალდებით შესრულდება.



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ ავიაკომპანიას ორი ქვეყნის დედაქალაქებს შორის რეგულარული საჰაერო მიმოსვლის განხორციელების ნებართვა 2019 წლის 8 ივლისს მიენიჭა. Uzbekistan Airways 1992 წელს დაფუძნდა. ავიაკომპანია დღეისათვის ორმოცზე მეტი მიმართულებით ოპერირებს, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებში, აშშ-ში, ინდოეთსა და იაპონიაში.

## ოზურგეთში 25 სოფელი მიიღებს გაზს!

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელი შრომა ერთ-ერთია იმ დასახლებებიდან, სადაც 2019-2021 წლებში გაზიფიცირება განხორციელდება, შედეგად კი ადგილობრივი მოსახლეობა ბუნებრივ აირს მიიღებს, — ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ შრომაში ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრისას განაცხადა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შრომის თემში ექვსი სოფელი შედის. გაზიფიცირების სამწლიანი სამთავრობო გეგმის თანახმად, 2019-2021 წლებში გურიის სამივე მუნიციპალიტეტში 25 სოფლის გაზიფიცირება დაგეგმილია.









# აფეთქება ვარკათილში

ვარკათილში მომხდარი აფეთქების შედეგად დაშავებული 18 წლის ახალგაზრდა ინფორმაციას სახელობის კლინიკაში გადაყვანილი.



ექიმ მანანა ლობჯანიძის ინფორმაციით, კლინიკაში შეყვანისას პაციენტს მუტა-ლის ნაწილაკებით მიყენებული მრავლობითი ჭრილობები აღენიშნებოდა.

„00:46 წუთზე შემოიყვანეს ერთი პაციენტი. პაციენტს აღენიშნებოდა მრავლობითი ზედაპირული ჭრილობები. დაზიანებული იყო მხოლოდ რბილი ქსოვილები. ჩვენს კლინიკაში პაციენტს აღმოუჩინეს სამედიცინო დაზიანება; კონკრეტულად, დაზიანდა ჭრილობები, გაენია ვინრო სპეციალისტების კონსულტაციები, გამოკვლევები ჩატარდა და გადაყვანილი არის შემდგომი მკურნალობისთვის სტაციონალურ განყოფილებაში. ზედაპირული ჭრილობები იყო მიყენებული მუტალის ნაწილაკებით“, — განაცხადა მანანა ლობჯანიძემ.

შემთხვევის შედეგად დაშავებულ კიდევ ერთ მამაკაცს „ამტელის“ კლინიკაში ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა.

ვარკათილში, სამხედრო დასახლებაში გვიან ღამით მომხდარი აფეთქების შედეგად სამი ადამიანი დაშავდა. გავრცელებული ინფორმაციით, ერთ-ერთ სადარბაზოში, სავარაუდოდ, ხელყუმბარა შეაგდეს.

როგორც საქართველოს პირველ არხს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით საქმე აღძრულია განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით.

უწყების ცნობით, დადგენილია დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირი და მის დასაკავებლად ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

# სოფელ ბაკურსიხეში ვენახები იწვის



როზორც საქართველოს პირველი არხის ჟურნალისტი იუნეზა, ცეცხლი სავარაუდოდ, 10 ჰექტარ ფართობზე გავრცელებული. გურჯაანის მერის, არჩილ ხანდამაშვილის განცხადებით, ვენახები, რომელსაც ცეცხლი გაუჩნდა, რამდენიმე კერძო პირის კუთვნილებაა.

ადგილზე მოხილი ზებუღია გურჯაანის, ყვარლის, დედოფლისწყაროს და თელავის სახანძრო სამაშველო ბრიგადები. მიმდინარეობს ცეცხლის ლოკალიზება.

# „ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მოგება 27 პროცენტით შემცირდა

2018 წლის ფინანსური ანგარიშის მიხედვით, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ წმინდა მოგება შემცირდა 27 პროცენტით 2017 წელთან შედარებით და 161,3 მლნ ლარი შეადგინა.

როგორც კორპორაციაში აცხადებენ, შემცირების ძირითადი მიზეზი კურსის ცვლილებით გამოწვეული ნეგატიური ეფექტია. კორპორაციის ინფორმაციით, წმინდა მოგება 2018 წელს 2016 წელთან შედარებით 2,1-ჯერ გაიზარდა (83,3 მლნ. ლარით).

„2018 წლის საოპერაციო მოგებამ შეადგინა 163,3 მლნ. ლარი, რაც 2017 წლის მონაცემებზე 21 პროცენტით ნაკლებია, ხოლო 2016 წლის მონაცემებზე 9 პროცენტით მეტია. 2018 წელს კორპორაციის ჯამური აქტივები 2017 წელთან შედარებით გაიზარდა 33 მილიონი ლარით და შეადგინა 1,693 მლნ ლარი.



2018 წლის ანგარიშგების მიხედვით წმინდა ფულადი ნაკადების მოცულობამ საოპერაციო საქმიანობიდან შეადგინა 218,3 მლნ ლარი (2017 წელს ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენდა 231,9 მლნ ლარს, ხოლო 2016 წელს — 159,1 მლნ ლარს ).

გარდაბნის კომბინირებული ციკლის თბოსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის შედეგად კორპორაციამ მოახდინა შემოსავლების დივერსიფიცირება. აღსანიშნავია აგრეთვე რომ 2018 წელს აქტიურად მიმდინარეობდა გარდაბნის მეორე კომბინირებული ციკლის თბოსადგურის მშენებლობა, რომლის ექსპლუატაციაში შესვლა იგეგმება 2019 წლის შემოდგომაზე“, — ნათქვამია კორპორაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

კორპორაციის ჯამური შემოსავალი 2018 წელს შემცირდა 7 პროცენტით და შეადგინა 623,8 მლნ ლარი, ანალოგიური მაჩვენებელი 2017 წელს იყო 671,6 მლნ ლარი.

უწყების ინფორმაციით, 2018 წლის ფინანსური ანგარიში შეამონმა საერთაშორისო აუდიტორული კომპანიების დიდი ოთხეულის წევრმა, აუდიტორულმა კომპანიამ — KPMG, რომლის დასკვნის მიხედვით კორპორაციის ფინანსური ანგარიშგება სრულიად შეესაბამება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს.

# სულთათანა

მედეა ჩიკვაიძე, ელიზბარ, სულხან ლომინაძეები, მანანა, დავით უჩანეიშვილები, გია სვანიძე, მერაბ მაჭავარიანი ოჯახებით იუნეზიან მეცნიერის, პროფესორის

## თქვერ დიდგანიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძობენ ოჯახის წევრებს.

# საზარალი ავარია შორაპანში - დაღუპულია 17 წლის მოკვებე

საბარბო კლუბის ზესტაფონის „არწივების“ 17 წლის მორაგბე რეზი თაბაგარი შორაპანთან მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას ემსხვერპლა.

შემთხვევა 7 ივლისს მოხდა. ერთმანეთს სამარშუტო ტაქსი და ტრაილერი დაეჯახნენ. ინფორმაციას ამის შესახებ სოციალურ ქსელში კლუბიც ავრცელებს.



„მეგობრებო!! დღეს ჩვენი რაგბის დიდი ოჯახის წევრი დავარგეთ.

რეზიკო თაბაგარი, რომელიც სიცოცხლით და სიყვარულით სავსე ადამიანი იყო; რომელიც ავტოსაგზაო შემთხვევას ემსხვერპლა..

ნათელში ამყოფოს შენი სული „ბაკო“, სუყველას ძალიან გვიყვარდი, გვიყვარხარ და მუდამ გვიყვარები.

ჩვენს გულეში დარჩები ყოველთვის. ასევე რაგბის კლუბ ზესტაფონის „არწივები“ თანაგრძობას ვუცხადებთ რეზიკოს ოჯახს“ — წერს კლუბი.

# შავი ზღვის სანაპირო ზოლზე მაშველებმა გუშინ 17 ადამიანი გადაარჩინეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წყალზე მაშველებმა, გუშინ შავი ზღვის სანაპიროზე 17 ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინეს. მათგან ხუთი არასრულწლოვანი და 12 უცხო ქვეყნის მოქალაქეა. ამის შესახებ ინფორმაციას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ავრცელებს.



მათივე ცნობით, დაბა ურეკში, 2-დან 3 ბალამდე შტორში ფიქსირდებოდა. გამოფენილი იყო ნითელი ალმები და მაშველები დამსვენებლებს აფრთხილებდნენ, რომ წყალში არ ჩასულიყვნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მოუწოდებს დამსვენებლებს, დაემორჩილონ მაშველების მიოთხებებს და დაიცვან უსაფრთხოების ნორმები, არ დატოვონ მცირეწლოვანი ბავშვები უმეთვალყურეოდ, არ ჩავიდნენ წყალში ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ან ნაბახუსეზე, არ გასცდნენ უსაფრთხოების ტივტივებს, მაშველების მიერ გამაფრთხილებელი ნითელი ალმების გამოფენის შემთხვევაში, არ ჩავიდნენ წყალში. მას შემდეგ, რაც ცურვა დასაშვები იქნება, გამოიფინება თეთრი ალმები.

# სხვისი ქონების დაუფლების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

საპარტიკლოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დიდი ოდე-ნობით სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლების მცდელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული თაღლითური განზრახვით დაუკავშირდა ერთ-ერთ პირს და დაარწმუნა, რომ 30 000 ლარის გადახდის სანაცვლოდ, შეეძლო დახმარებოდა მას ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების განსულებასში.

აღნიშნული დანაშაულებრივი განზრახვით, ბრალდებულმა სსენებული თანხიდან მოქალაქეს წინასწარ მოსთხოვა და გამოართვა თანხის ნაწილი, 10 000 ლარი, რა დროსაც მოხდა მისი დაკავება“, — აცხადებენ საგამოძიებო სამსახურში.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ექვსიდან ცხრა წლამდე ვადით.



